

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2020 წლის 9 ივნისის

N71 ბრძანებით

მოდიფიცირებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის



**RTC** სარკინიგზო  
ტრანსპორტის  
კოლეჯი

- ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

2     3     4     5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 14

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 10      მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება, მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება სამრეწველო სარკინიგზო სფეროში.

პროგრამის მიზანი: გადამზადოს სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანეები მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში, რომელიც უზრუნველყოფს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს დადგენილი წესების სრული დაცვით შესრულებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინსტრუქციებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებით;
2. სამუშაო პროცესის ორგანიზებისათვის საჭირო წესების, ელექტრო აპარატურის, დამხმარე მანქანების დათვალიერების წესების, ლოკომოტივის მიღებისა და ტექნიკური გამართულობის აღწერა;
3. ლოკომოტივის უსაფრთხოების სისტემების, სავალი ნაწილების, ელექტრო აპარატურის, დამხმარე მანქანების, სამუხრუჭე და სასილე მეურნეობის დათვალიერება;
4. უსაფრთხოების წესების აღწერა მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/მოხსნისას;
5. გადაბმა/ახსნის სამუშაოების შესრულება;
6. ლოკომოტივის მართვის უსაფრთხოების წესების აღწერა;
7. ლოკომოტივის მართვა უსაფრთხოების წესების დაცვით;
8. ლოკომოტივის ჩაბარება;
9. მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის, კვანძებისა და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემოწმება/ნაწილობრივ შეკეთების წესების აღწერა.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ლოკომოტივის მართვა“

#### **მოდულები:**

1. სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
2. ლოკომოტივის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება;
3. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება;
4. მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა;
5. ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის მართვა;
6. ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის შემოწმება/ნაწილობრივ შეკეთება.

**პროგრამის მოკლე აღწერა:** წარმოდგენილი მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 14 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 20 საათი, რაც ჯამში შეადგენს 280 საათს.

პრაქტიკული სწავლება განხორციელდება ლოკომოტივის სასწავლო სიმულატორზე ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოწყობილ სიმულაციურ გარემოში.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება ლოკომოტივის ტექნიკური დახასიათება, მათი უსაფრთხოების სისტემების, სავალი ნაწილის, ელექტრო აპარატურისა და დამხმარე მანქანების, სამუხრუჭე და სასილე მუსურნეობის დათვალიერების წესის აღწერა, მატარებლის გადაბმა/ახსნის სამუშაოების შესრულება, მოძრავი შემადგენლობის მართვა და ლოკომოტივის მიღება-ჩაბარება შესაბამისი ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით.

## 2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	<ul style="list-style-type: none"> <li>• მატარებელთა მიღება, გაგზავნა და სადგურებში სამანევრო გადაადგილების წესები;</li> <li>• მატარებელთა მოძრაობის წესები სადგურებში სცბ-ს მოწყობილობათა ნორმალური მუშაობის დარღვევისას;</li> <li>• შუქნიშნების: შესასვლელი, მოსაწვევი, გასასვლელი, სამარშრუტო(მატარებლების მიღებისას), სამარშრუტო შუქნიშანი (მატარებლების გაგზავნისას), გასავლელი, პირობითი-ნებადამრთველი, მიმფარავი და გადამღობი, მაფრთხილებელი და მამეორებელი და სალოკომოტივო შუქნიშნებისა და სიგნალების ჩვენებები სხვადასხვა სისტემებით აღჭურვილი სხვადასხვა უბნების და სხვადასხვა გადაადგილებების დროს;</li> <li>• შეზღუდვის სიგნალების: გადასატანი სიგნალების და სასიგნალო ნიშნები, სიჩქარის შემცირების დისკო, გადასარბენზე მატარებლების</li> </ul>	1	20	ლექცია, პროფესიული განხილვები, დისკუსია	გამოკითხვა (წერილობითი შეფასება - ღია ან დახურული ტიპის ტესტი)	A

	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოძრაობისათვის დაბრკოლებებისა და სამუშაოების წარმოების ადგილების შეზღუდვა;</li> <li>• სადგურებში მატარებლების მოძრაობისათვის დაბრკოლებებისა და სამუშაოების წარმოების ადგილების შეზღუდვა;</li> <li>• სადგურის ლიანდაგებზე მოძრავი შემადგენლობის შეზღუდვა.</li> </ul>					
2	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასიგნალო მაჩვენებლების და ნიშნების: სამარშრუტო მაჩვენებლების, საისრე მაჩვენებლების, ლიანდაგის შეზღუდვის მაჩვენებელის დანიშნულება;</li> <li>• ლოკომოტივის მემანქანის უფლებამოვალეობები;</li> <li>• სალოკომოტივო ბრიგადის სამუშაო ადგილზე გამოცხადების წესი;</li> <li>• უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დაწყებამდე;</li> <li>• სამუშაო იარაღებთან და ინვენტართან მუშაობის წესები;</li> <li>• მემანქანის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოების წესი;</li> <li>• ლოკომოტივის მექანიკური ნაწილის ძირითადი კვანძების გამართულობის შემოწმების წესი;</li> <li>• სამუშაო იარაღებისა და ინვენტარის ჩაბარების წესი.</li> </ul>	1,2	20	ინტერაქციული ლექცია, სემინარი	გამოკითხვა (წერილობითი შეფასება - ღია ან დაბურული ტიპის ტესტი)	A

	<ul style="list-style-type: none"> <li>ლოკომოტივის კვანძების შემოწმების წესი.</li> </ul>					
3	<ul style="list-style-type: none"> <li>დაზიანებების აღმოფხვრის გზები;</li> <li>სავალი ნაწილის კონსტრუქცია;</li> <li>სავალი ნაწილების პარამეტრები;</li> <li>სამუხრუჭე მოწყობილობის შემოწმებისა და რეგულირების წესი;</li> <li>ელექტრო აპარატურის და დამხმარე მანქანების დათვალიერების უსაფრთხოების წესები;</li> <li>ტმ-1 -ის მოთხოვნები სამუხრუჭე და სასილე მეურნეობის დათვალიერებისას;</li> <li>პნევმატური მუხრუჭების აგრეგატების განლაგება;</li> <li>პნევმატური მუხრუჭების აგრეგატების დანიშნულება;</li> <li>სამუხრუჭო-ბერკეტული გადაცემის მოქმედების პრინციპი;</li> <li>ლოკომოტივის სამუხრუჭე მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების წესი;</li> <li>ლოკომოტივზე და მვრჩ-ზე პნევმატური სამუხრუჭე მოწყობილობების, აგრეგატების და სამუხრუჭე-ბერკეტული გადაცემის მოქმედების წესი.</li> </ul>	2	20	ინტერაქციული ლექცია, სემინარი	გამოკითხვა (წერილობითი შეფასება - ღია ან დახურული ტიპის ტესტი)	A

4	<ul style="list-style-type: none"> <li>სავალი ნაწილების მდგომარეობის შეფასება;</li> <li>სამუხრუჭო მოწყობილობების დარეგულირება;</li> <li>ელექტრო აპარატურის და დამზმარე მანქანების დათვალიერება;</li> <li>სამუხრუჭე მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება;</li> <li>ლოკომოტივის შემადგენლობასთან მიბმის უსაფრთხოების წესი;</li> <li>შემადგენლობიდან ლოკომოტივის მოხსნის უსაფრთხოების წესი;</li> </ul>	3,4	20	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	A, C*
5	<ul style="list-style-type: none"> <li>ლოკომოტივის მიბმა შემადგენლობაზე;</li> <li>გადაბმულობის სისწორის შემოწმება.</li> </ul>	5	20	მინი ლექცია, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	C
6	<ul style="list-style-type: none"> <li>საჰაერო სახელოების მიერთება.</li> </ul>	5	20	მინი ლექცია, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	C
7	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუხრუჭე სახელოების მდგომარეობის შემოწმება.</li> </ul>	5	20	მინი ლექცია, პრაქტიკული	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	C

				უნარების დემონსტრირება	(პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	
8	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუხრუჭე სახელოს უწესივრობის აღმოფხვრა;</li> <li>უსაფრთხოების მოთხოვნები ლოკომოტივის და ძველის მართვისას;</li> <li>სამანევრო სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების წესი.</li> </ul>	5, 6	20	ინტერაქციული ლექცია, სემინარები, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)  გამოკითხვა (წერილობითი შეფასება - ღია ან დახურული ტიპის ტესტი)	A, C
9	<ul style="list-style-type: none"> <li>მატარებლის მოძრაობის უსაფრთხოების წესი;</li> <li>მზომი ხელსაწყოების ჩვენებების კონტროლი;</li> </ul>	6,7	20	ინტერაქციული ლექცია, სემინარები, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)  გამოკითხვა (წერილობითი შეფასება - ღია ან დახურული ტიპის ტესტი)	A, C
10	<ul style="list-style-type: none"> <li>მზომი ხელსაწყოების ჩვენებების კონტროლი.</li> </ul>	7	20	მინი ლექცია, პრაქტიკული	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული	C

				უნარების დემონსტრირება	დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	
11	<ul style="list-style-type: none"> <li>ლოკომოტივის მართვის პრინციპები და სადგურში სამანევრო სამუშაოების წარმოება.</li> </ul>	7	20	მინი ლექცია, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	C
12	<ul style="list-style-type: none"> <li>ლოკომოტივის მართვის პრინციპები და სადგურში სამანევრო სამუშაოების წარმოება.</li> </ul>	7	20	მინი ლექცია, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	C
13	<ul style="list-style-type: none"> <li>ლოკომოტივის მართვის პრინციპები და სადგურში სამანევრო სამუშაოების წარმოება;</li> <li>ელმავალისა და ძველ-ს სალოკომოტივო დეპოში, ხაზზე და მოსაბრუნებელ პუნქტში ჩაბარება.</li> </ul>	7,8	20	მინი ლექცია, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება)	C
14	<ul style="list-style-type: none"> <li>ელმავალისა და ძველ-ს სალოკომოტივო დეპოში, ხაზზე და მოსაბრუნებელ პუნქტში ჩაბარება;</li> </ul>	8,9	20	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება,	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალების	A, C

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლოკომოტივის სამუხრჭე ბუნივებით დამაგრება/გათავისუფლება;</li> <li>• სამუხრუჭე ბუნივებით ლოკომოტივის დამაგრება/გათავისუფლების წესი;</li> <li>• დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორისადმი წაყენებული მოთხოვნები;</li> <li>• დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის საწვავ–საზეთ–საპოზი მასალების ტიპები;</li> <li>• ტურბო-ჰაერმბერის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი;</li> <li>• მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შეკეთების და შემოწმების ტექნოლოგია ცალკეული კვანძების სპეციფიკის გათვალისწინებით;</li> <li>• თბური აპარატურის, გაგრილებისა და შეზეთვის სისტემების რემონტის შემდგომი გამოცდის წესი და თანმიმდევრობა;</li> <li>• მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემადგენელი კვანძების და დეტალების დათვალიერება;</li> </ul>			პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, დისკუსია	შესრულებაზე დაკვირვება)	
--	---	--	--	--	-------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>• დიზელის ძრავის სწვავის წნევის, ზეთის წნევის და შეკუმშვის (კომპრესია) აღწერა;</li> <li>• თბური აპარატურის, გაგრილებისა და შეზეთვის სისტემის შეკეთების შემდგომ გამოცდა;</li> <li>• მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის გამოცდა.</li> </ul>				
--	--	--	--	--	--

\* შენიშვნა: C გარემო წარმოადგენს მატარებლის მართვის სიმულატორით აღჭურვილ გარემოს, რომელზეც მოხდება ლოკომოტივის მართვის კომპეტენციების გამომუშავება.

2. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა “ლოკომოტივის მართვა”</p>	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
0711716 სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<p>7.მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის დროს;</p> <p>9.მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ორგანიზაციის განსაზღვრა სიგნალიზაციის ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესრულებით.</p>
0711801 ლოკომოტივის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება	<p>1.სამუშაო პროცესის ორგანიზებისათვის საჭირო წესების აღწერა;</p> <p>2.ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მიღებისა და ტექნიკური გამართულობის აღწერა;</p>
0711803 ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება	<p>1.ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოების სისტემების და სავალი ნაწილის აღწერა;</p> <p>2. ელექტრო აპარატურის და დამზარე მანქანების დათვალიერების წესის აღწერა;</p> <p>3.სამუხრუჭე და სასილე მეურნეობის დათვალიერების წესის აღწერა</p> <p>4.ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოების სისტემების და სავალი ნაწილების დათვალიერება;</p> <p>5. ელექტრო აპარატურის და დამზარე მანქანების დათვალიერება;</p> <p>6. სამუხრუჭე და სასილე მეურნეობის დათვალიერება.</p>
0711804 მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა	<p>1.უსაფრთხოების წესების აღწერა მატარებელთან ჩადგომა/გამზადება /მოხსნისას;</p> <p>3.გადაბმა/ახსნის სამუშაოების შესრულება;</p>

დანართი

0711805 ლოკომოტივისა და მრავავაგონიანი შემადგენლობის მართვა	1.ლოკომოტივისა და მრავამოძრავი შემადგენლობის მართვის უსაფრთხოების წესების აღწერა; 3.ლოკომოტივის ჩაბარების წესის აღწერა; 4.მოძრავი შემადგენლობის მართვა; 5.ლოკომოტივის ჩაბარება.
0711806 ლოკომოტივისა და მრავავაგონიანი შემადგენლობის შემოწმება/ნაწილობრივ შეკეთება	1.მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის და კვანძების შემოწმება/შეკეთების წესების აღწერა; 2.მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემოწმება/ნაწილობრივ შეკეთება;